


მიცვალებულთა მოსახსენიებელი



მიცვალებულთა მოსახსენიებელში, რომელსაც ეკლესიის საკურთხეველში შევგზავნით, იმ გარდაცვლილ ადამიანთა სახელები იწერება, რომლებიც ჩვენთვის ახლობელნი და ძვირფასნი არიან: მშობლები, ნათესავ-მეგობრები და ა.შ.

გარდაცვლილთათვის ისევე უნდა ვილოცოთ, როგორც ცოცხლებისთვის ვლოცულობთ. უნდა ვილოცოთ არა მხოლოდ ახლო ნათესავების სულებისათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც ოდესმე რაიმე სიკეთე გაგვიკეთა, შეგვწვინა, ასევე იმათთვისაც, ვინც ჩვენი არაკეთილმოსურნე იყო. გარდაცვლილნი, თუმცა ფიზიკურად განგვეშორნენ და სხეულით მინაში იმყოფებიან, მათი სულები უფალთან სუფევენ და ჩვენთვის უხილავ, შეუცნობ სულიერ ცხოვრებას აგრძელებენ (რა თქმა უნდა, ის გარდაცვლილნი, რომელნიც მართალი ცხოვრებით, ქრისტეს რწმენით აღესრულნენ), ვინაიდან თავად უფალი ამბობს: „...არა არს ღმერთი მკუდართად, არამედ ცხოველთად, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე“ (ლუკ. 20, 38). ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი გარდაცვლილი წინაპრები, რომელთა სახელები ხშირად არც კი ვიცით, ჩვენთვის, თავიანთი შთამომავლებისათვის ლოცულობენ. ჩვენ, ცოცხალნი, მათთან ერთად ერთ ეკლესიას, ერთ სხეულს შევადგენთ, რომელსაც ერთი თავი – ერთი წინამძღოლი ჰყავს – უფალი ჩვენი იესო ქრისტე: „...ამისთვისცა ქრისტე მოკუდა და აღდგა და ცხონდა, რადგან მკუდართაცა და ცხოველთაცა ზედა უფლებდეს“ (რომ. 14, 9).

ჩვენი კავშირი გარდაცვლილებთან განსაკუთრებულად მათთვის აღვლენილი მხურვალე ლოცვისას იგრძნობა. მლოცველი ადამიანის სულზე ის განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს, და თვალნათლივ უჩვენებს იმ ერთობას, რომელიც სულთა შორის არსებობს, ამ ქვეყნის მკვიდრნი იქნებიან ისინი თუ გარდაცვლილნი.

წყარო: წიგნი “ეკლესიის საუნჯე”

შემდგენელი: დავით შონვაძე

— ambioni.ge